

ენობრივი შეცდომები ქართული ენისა და ლიტერატურის წერით ნაშრომებში იმერეთის რეგიონის საჯარო და კერძო სკოლების მაგალითზე

ლეილა აბზიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი თამარ მეფის ქ. № 59

ანოტაცია

მოსწავლეთა წერით ნაშრომებში დაშვებული ენობრივი შეცდომების ყოველმხრივ ანალიზს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ნაკლოვანებების გამომზეურებისა და აღმოფხვრის საქმეში, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახასიათებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას დღევანდელ სკოლებში.

თუ ამ ნაშრომში განხილულ და მოსწავლეთა ნაწერებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაშვებულ შეცდომებს მივიღებთ მხედველობაში, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ იმ ამოცანებს ისე, როგორც ამას მოითხოვს მისგან ქართველი ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლა-განათლების ინტერესები.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამოსწორებას საფუძველი უნდა ჩაეყაროს დაწყებით კლასებში.

საკვანძო სიტყვები: განათლება, სკოლა, მართლწერა.

მოსწავლეთა წერით ნაშრომებში დაშვებული ენობრივი შეცდომების ყოველმხრივ ანალიზს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ნაკლოვანებების გამომზეურებისა და აღმოფხვრის საქმეში, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახასიათებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას დღევანდელ სკოლებში.

წინამდებარე შრომაში მოკლედ მიმოვიხილავთ იმერეთის რეგიონის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა წერით ნაშრომებში დაშვებულ ენობრივ შეცდომებს. საილუსტრაციო მაგალითები ამოწერილია VI-XII კლასების მოსწავლეთა ნაწერებიდან, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშნით შეფასებული ნამუშევრებიდან.

მაგალითებთან დასახელებული არაა არც სკოლისა და არც მოსწავლის გვარ-სახელი, იმიტომ, რომ ნაშრომში განხილული შეცდომები მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლების მოსწავლეთათვის. ამ მხრივ მათ შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

დავიწყოთ ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომების მიმოხილვით. მოსწავლეთა წერით ნაშრომებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად არცთუ ისე იშვიათად გვხვდება – ჟ, –ჟ; „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზათ და ხიდათ“. „სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში მიემგზავრებოდა“. „იგი თავის მტრათ მიაჩნდა“.

ზოგჯერ მრავლობით რიცხვში ორი –ჟ–ს ნაცვლად წერია ერთი: „როგორი ბრძოდნენ. მოხვევები სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის;“ „მონადირები ქისტების სოფელს მიადგნენ“.

პირის ნაცვალსახელს უმართებულოდ აქვს დართული მოთხრობითის ნიშანი –მა: „მათმა უმაღლესი განათლება მიიღეს;“ „მათმა ჰკითხეს, თუ საით მიდიოდნენ“. „ამათმაც დაიწყეს ძახილი“.

ფუძეკუმშვადი სახელები შეუკუმშვად არის წარმოდგენილი: „გოჩამ იგი თემის წინაშე ხმალით განგმირა“, „სოფელის ახლოს მდინარე ჩამოდიოდა“, „გმირთა სახელის სადიდებელად“.

მოსალოდნელი ორი ერთნაირი თანხმოვნის ნაცვლად წერია ერთი: „ხალხი დიდ შიში იყო ჩავარდნილი“.

არასწორადაა ნახმარი პირის ნიშნები ზმნაში: „პოეტი მზად არის დასთმოს მშობლები, ნათესავები“; „გლებობა აჯანყდა და აღსდგა საბრძოლველად“; „აღზდგნენ ისინი სამშობლოს დასაცავად“; „გამოყვანილი ყავს უარყოფითი ტიპებიც“;

უგულებელყოფილია ზმნისწინების ხმარებასთან დაკავშირებული მართლწერის წესები: „აქვე უნდა აღვნიშნოთ“; „როგორც ზემოთ აღვნიშნეთ“; „მას ანთავისუფლებენ ციხიდან“;

ზმნის ფორმებში არ გვხვდება ხმოვნის აღმნიშვნელი იმდენი ასო, რამდენიც საჭიროა: „ცა გამოჩნდება და განათებს მზე“; „შემოსულმა მტერმა გაჩანაგა კახეთი“;

არასწორადაა ნახმარი –ავ და –ამ თემის ნიშნები: „აისხავს იარაღს“; სწორედ ამ ეპოქას უსვავს ხაზს დავით კლდიაშვილი“; „შოთა რუსთაველი... ამ სახელს რომ წამოვთქვავ“. „მაგ შარბათში საწამლავს სვავ იცოდე“; „ხანდახან წამოუვლიან გოგო–ბიჭებს და წიოკობას აუტეხამენ“.

ძლიერ ხშირია ცალკეულ სიტყვათა არასწორად ხმარების შემთხვევები: „უხეშმა ბატონმა შეურაცყოფა მიაყენა ზაქროს მამას“; „ვინ იცის, რამდენი გაჭივრება გადაიტანა“; „გოჩა ღმერთს ეხვერწება“; „ასეთ უარგის ადამიანთა რიგებს მიეკუთვნებოდნენ ლუარსაბი და დარეჯანი“; „შეიყვარა და შეისისხორცა ქართველმა ხალხმა“; „პლატონი იძულებულია თვითონ დაუდგეს მამას მაშუვლად“; „ხასიათით დედას ემგზავსება“, „პოეტი ამავე აზრით არის განჭვალული“; „ღამე გაიხდინა თანამეგობრად“;

ზოგჯერ სიტყვათა ჯგუფი მხოლოდ ერთი სიტყვით არის გადმოცემული: „რა თქმაუნდა მათ ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ საზოგადოებაში“; „აბდულ–შაჰილიც იმწამსვე განიმსჭვალემა სამშობლოს სიყვარულით“; „მას არცთუისე სწყენია ეს ამბავი“.

განსაკუთრებით ხშირია შეცდომები სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვათა მართლწერაში: „სულო ბოროტოში“ მოცემულია კომფლიქტი ბარათაშვილისა და ბოროტ სულს შორის“; „წინააღმდეგ რუსიპიკატორული პოლიტიკისა“; „ტაბიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს დეკანდენტურ – სიმბოლისტურ მიმართულებას“; „მისი კოლონიალისტური პოლიტიკა საშინელებად მოევლინა ხალხს“;

არასწორად უწერიათ წარმოქმნილი სიტყვები: „მრავალ–რიცხოვანი უკეთესად შეიარაღებული ჯარი“; „მამა–შვილური დამოკიდებულება კვლავ ძველებურად სუფევდა“; „უდედ–მამოდ დარჩა“.

სინტაქსური შეცდომებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების წესების დარღვევა. ასე მაგალითად, შემასმენელი უნდა იდგეს მხოლოდ ერთ რიცხვში, დგას კი მრავლობითში. „XIX საუკუნეში სამწერლო ასპარეზე გამოვიდნენ ახალი თაობა“; „ძველმა თაობამ სათხოვარი პუნქტი შეცვალეს“; „ოჯახის წევრების გარდა იყვნენ7 მოსამსახურე“; „შრომელი

მოსახლეობა ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ“; „მისი დაწყებული საქმე მემკვიდრეობით მიიღეს მათმა შთამომავლობამ“. „რა გაჭირვებაში არიან მშრომელი ხალხი“; „თუ როგორ იბრძოდნენხალხი თავისუფლებისათვის“; „სამივე რაინდიარიან ნამდვილი ადამიანები“;

ხდება პირიქითაც: შემასმენელი მხოლოდობით რიცხვში დგას მაშინ, როდესაც იგი აუცილებლად მრავლობითის ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი. „ექვთიმე წერეთელსა და ძველ თაობას უპირისპირდება ახალი თაობის წარმომადგენლები“; „რომლებმაც მას წესიერი ცხოვრება არ დააცალა“;

იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება გარდუვალ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში დასმის მაგალითები. „პლატონ სამანიშვილმაგაოცებით შეეკითხა“; „კვირიამ ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა“;

განსაკუთრებით ხშირად არის დარღვეული „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენების წესები, რაც წინადადების შინაარსს საგრძნობლად აბუნდოვანებს: „ბახტრიონში“ ვაჟას აღწერილი აქვს ბუნება, რომლის შესავალს იწყებს შემდეგნაირად“; „ელგუჯას მთელი თავისი არსებით უყვარს თავისი ხალხი, რომელიც დღედაღამ ფიქრობს თავისი ხალხის მომავალ ბედნიერებაზე“; გოჩას უსაზღვროდ უყვარს თავისუფლება, რომელიც ვერ ეგუება თვითმპყრობელობას“; „სოფლის კანცელარიის წინ ხშირად ნახავდით შავებში ჩაცმულ მოხუც ქალს, გვერდით პატარა ბიჭით, რომელიც პლატონის ქონების გაყოფას მოითხოვდა“.

ვინც „სამანიშვილის დედინაცვლის“ შინაარსს არ იცნობს, ამ წინადადების წაკითხვისას იფიქრებს, რომ სწორედ ეს პატარა ბიჭი მოითხოვდა პლატონ სამანიშვილის ქონების გაყოფას. აბა, ახლა თვით დავით კლდიაშვილს მოვუსმინოთ: „ეს დედაკაცი გახლდათ, როგორც თავად მიხვდებოდით, ბეკინა სამანიშვილის ქვრივი ელენე და პატარა ბავშვი– შვილი მისი, რომელმაც ჯერ არც კი იცოდა, რასაკვირველია, რამდენი უსიამოვნება მოიტანა მისმა გაჩენამ და ამიტომაც ასე ხალისიანად იცქირებოდა აქეთ–იქეთ და სიამოვნებით შეჰყურებდა მოფუსფუსე ხალხს“.

არც თუ ისე იშვიათად არასწორადაა განლაგებული სიტყვები წინადადებაში: „ლეონი როცა მეფემ დაიბარა, მან მოხერხებული არაკებით თავი გაიმართლა“.

შეცდომაა დაშვებული თანდებულების შერჩევაში: „შვიდ წელიწადში მეცხვარეობაში ყოფნამ ალ. ყაზბეგი ხალხს დაუახლოვა“; „წინააღმდეგ რუსიპიკატორული პოლიტიკისა, რომელსაც მეფის მთავრობა ატარებდა ქართველი ხალხის წინაშე“.

სინტაქსის ელემენტარული წესების სრული უცოდინარობით უნდა აიხსნას ის უთვალავი პუნქტუაციური შეცდომა, რომლებიც ნაწერებში გვხვდება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენს სკოლებში თითქოს სულაც აღარ ასწავლიან, სად დასვან წერტილი, მძიმე, ორწერტილი: „იგი ბრძოლაში მიმავალ შვილს ავალებს რომ იბრძოლოს ისე როგორც ვაჟკაცს შეეფერება, თუ სიკვდილი აუცილებელია მოკვდეს ისე რომ ხევს მისი დამარხვა არ ეთაკილებოდეს“. (აკლია ოთხი მძიმე, სადაც მძიმე წერია, უნდა იყოს წერტილი).

არც თუ ისე იშვიათად შეხვდებით წერით ნაშრომებს, სადაც 20–30 პუნქტუაციური შეცდომაა დაშვებული. ერთ–ერთი მოსწავლე თავისებურ „რეკორდსაც“ ამყარებს: 3¹/₂ გვერდზე დაშვებული აქვს 50–მდე პუნქტუაციური შეცდომა.

ზოგიერთმა მოსწავლემ ისიც არ იცის, ნაწარმოების სათაური უნდა ჩაისვას ბრჭყალებში, თუ პერსონაჟის სახელი: „ელგუჯას დაუჭკნობელი სტრიქონები შთამაგონებლად გვიხატავს სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანთა სახეებს“; „ალ. ყაზბეგის „ხვეისბერ გოჩაში“ კონცენტრირებულია ადამიანის საუკეთესო თვისებები“. „მართალია, სულიერად „არსენა“ მარცხდება, მაგრამ მორალურად იმარჯვებს“. „არსენამ“, „გაბრიელმა“, კაკომ და ზაქრომ“ დაგმეს უსამართლობა და სამშობლოს ბედნიერება მიანიჭეს“; „ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ძალიან კარგად და ლამაზად არის აღწერილი კაცია ადამიანში „ლუარსაბ თათქარიშვილის“ სახლი და კარ–მიდამო“.

წერითი ნაშრომების ერთ–ერთი მეტად სუსტი და მტკივნეული ადგილია სტილი. მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ ახერხებს თავისი აზრის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემას, ცუდად აგებს წინადადებებს, მიმართავს უსარგებლო და უადგილო განმეორებებს, არ შეუძლია საჭირო სიტყვებისა და გამოთქმების შერჩევა. ამიტომაც, რომ წერითი ნაშრომები სავსეა სტილური შეცდომებით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „სადღეგრძელოში“ გრ. ორბელიანი გვიხატავს საქართველოს წარსულ ადამიანებს, რომლებმაც თავი შესწირეს წარსულს“; „ასეთმა არაადამიანურმა ქცევამ მემამულეებისა და გლეხობის მიმართ ასახა სოციალური წინააღმდეგობა ქართულ ლიტერატურაში XIX საუკუნის მწერლობამ“; „პლატონი ძლიერ შეაშფოთა მამის ამ გადაწყვეტილებამ და აღფრთოვანებით მიმართავს მას: –მღუპავ, მამა? ოჯახს მინგრევ!“; „ამრიგად, გ. ტაბიძემ ამ ლექსში დაგვიხატა ალეგორიული სახე ღამისა, რომელიც მეგობრულად არის განწყობილი პოეტთან და იზიარებს მის აზრს, რომელსაც დიდი ყურადღება ეთმობა ქართულ პოეზიაში, რადგანაც იგი განწყობილია ალეგორიულად“, „გაგი ელგუჯას მტრად დაედო“; „პლატონმა დიდი წვალეების შემდეგ შეძლო მამისათვის ახალი ცოლის შერთვა“; „ონისეს მოკვლის სცენა მდიდარია თავისი მხატვრული ელფერობით“;

ხშირად მოსწავლეებს არ ესმით ამა თუ იმ სიტყვის (განსაკუთრებით, უცხო სიტყვების) მნიშვნელობა და მათ უადგილო ადგილას ხმარებით წინადადებას ყოველგვარი აზრი ეკარგება: „ელგუჯა თავის თანამოაზრეებთან ერთად თავგანწირვით იბრძვის თავისი ხალხის თავისუფლების ხელყოფისათვის“; „საქართველოში მე– XX საუკუნის გამოსულ მწერლებს შორის, რომელთა ძირითადი მტკივი იყო ქართული პოეზია, განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გ. ტაბიძე“; ამრიგად, გ. ტაბიძის „მე და ღამე“ შესანიშნავი მტკივი ქართულ მწერლობაში“; „თერგდალეულთა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას საქართველო რუსეთის ორიენტაციის ქვეშ იყო მოქცეული“;

ზოგჯერ კითხულობ მოსწავლეთა წერით ნაშრომებს და ვერ გაგიგია, საიდან იღებს სათავეს ასეთი უაზრობა: „IX საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ეგნატე ნინოშვილი ერთ–ერთი ტრაგიკული პიროვნება იყო, რომელსაც არ უნახავს არც ყრმობა, არც ბავშვობა, არც მოწიფული ასაკი“. „ტარიელის ვეფხის ტყავი უბრალო ტყავი როდია. ეს არის სიმბოლო გმირობისა და მამაცობისა“.

ორიოდე სიტყვა ფაქტობრივ–შინაარსობრივი ხასიათის შეცდომებზედაც.

ნაშრომებში გამოვლინებულ ხარვეზებთან განსაკუთრებით აღსანიშნავია მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში წერის ჩვევების უკმარისობა, ცნობილი ლიტერატურული ძეგლების შინაარსის უცოდინარობა, ლიტერატურული ნაწარმოების დედააზრსა და დანიშნულებაში გაურკვეველობა, ტრაფარეტულობა, გაანალიზებული ხერხების არადამაკმაყოფილებელი ცოდნა.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ცუდად იცის მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა პროგრამით გათვალისწინებული მხატვრული ნაწარმოებების შინაარსი, საკმარისია მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანა: „მზე ამოვიდა, მაგრამ სარკმელი არ გაანათა და განდგილმა იქვე განუტევა სული“. „ნაწარმოების თვალსაჩინო პერსონაჟია ლუხუმი, რომელიც დამარცხდება ზეზვასთან ბრძოლაში და დაჭრილი უპატრონობას განიცდის“. „პოეტს მოსწონს დაუდგრომელი თერგი“; „დალოცა ღმერთმა ისევ თავზეხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი თერგი. მასში იგი ხატავს ქვეყნის დაქვევის მიზეზს“. „როდესაც პლატონმა ეს ამბავი გაიგო, სულთმლად გადაირია. იგი დედამთილისადმი მტრულად განეწყო. ერთხელ პლატონი ისე განერვიულდა რომ დედამთილს წიხლი ჩაცხო“.

ხშირად მოსწავლეები შეცდომით წერენ პერსონაჟთა სახელებსაც: ონისეს ნაცვლად უწერიათ ონისიმე, ბეკინას ნაცვლად – ბექია. „როდესაც დაინახა პლატონმა, რომ ბექიას ვერ გადაათქმევინებდა განზრახვას, გადაწყვიტა, თვითონ მოემბნა და შეერჩია საცოლე თავისი მამისათვის“. „ბახტიონის“ გმირებს შორის უნდა მოვიხსენიოთ ბერი ლუხუმი და ხვეზდა გაბრინდაული“.

ზოგიერთმა მოსწავლემ ისიც არ იცის, თუ როდის მოღვაწეობდა ესა თუ ის მწერალი, რა ნაწარმოებები დაგვიწერა მან. ა. წერეთელი მოღვაწეობას იწყებს XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში“. „ალ. ყაზბეგის კალამს ეკუთვნის ბევრი შესანიშნავი ნაწარმოებები, როგორცაა, „ხევისბერი გოჩა“, „მამის მკვლეელი“, „წიწოლა“, „ელგუჯა“ და ბევრი სხვა“.

„ვაჟა–ფშაველას პოემა „განთიადში“ მაღალი იდეალებით პირველ რიგში გამოირჩევა ქართველი დედის სანათას სახე“.

განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მოსწავლეებმა, როგორც წესი, არ იციან საზეპირო ადგილები მხატვრული ნაწარმოებებიდან. იშვიათად თუ შეხვდებით იმის მაგალითს, რომ მოსწავლე უშეცდომოდ წერდეს ნაწყვეტებს ლექსებიდან, პოემებიდან, პროზაული ნაწარმოებებიდან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეუბრალებლად არის დამახინჯებული ქართული მწერლობის შესანიშნავი ნიმუშები:

„მირბის, მიმაფრენს უგზოუკვლოდ ჩემი მერანი

უკან მომჭყავის თვალბედითი შავი ყორანი.“

„ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,

ხელმეორედ ეკითხება მას გრძნობა“.

თუნდაც საზეპირო ადგილები პროზაული ნაწარმოებებიდან: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ, კაცი ტანჯვისათვის არის გაჩენილი. იმ მიწას გვეიდებიან, სადაც თქვენი მამა–პაპათა ძვლები არის დამარხული და ვანძლო არ დაანებო, აბა თქვენ იცით, რასაც იქ““. „რას მიქვია ტკბილი სიტყვა, ამბობს ოთარაანთ ქვრივი, ტკბილი სიტყვა თავადთა საქმეა, რომელნიც ფეხის გულის ფხანას უნდებიან, რომ ძილი მოერიოთ“. „მართალი სიტყვა ჩანგალია, გულის მოსაკიდებელი, რომელიც გულს საძრაობას მისცემს. თუ არ გატოვდი, ცხოვრება ისე გაგთელავს, როგორც „დიდოელი ლეკი ნაზადსა“.

ანალოგიური შეცდომების ნუსხა, ცხადია, ზემოთქმულით ოდნავაც არ ამოიწურება. შეიძლება იგი კიდევ შეგვევსო და გაგვეზარდა, მაგრამ, ვფიქრობთ, საქმის ვითარება მაინც ასე თუ ისე ნათელია.

ქართული ენისა და ლიტერატურისმასწავლებლების ამოცანა უნდა იყოს მისცეს მოსწავლეებს საფუძვლიანი ცოდნა ფონეტიკის, ლექსიკის, გრამატიკის, სტილისტიკისა

და ორთოგრაფია–პუნქტუაციის საკითხებზე. აამაღლოს მოსწავლეთა წიგნიერების დონე, გამოუმუშაოს მათ დახვეწილი ზეპირი და წერიტი მეტყველება, განუვითაროს ლოგიკური აზროვნება. მდიდარი ქართული სალიტერატურო ენის დაუფლების საფუძველზე მოსწავლეებს აღუძრას ინტერესი ქართული სიტყვისადმი, ქართული ენის გამომსახველობითი საშუალებებისადმი.

თუ ამ ნაშრომში განხილულ და მოსწავლეთა ნაწერებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაშვებულ შეცდომებს მივიღებთ მხედველობაში, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი სკოლები ზემოხსენებულ ამოცანებს ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ ისე, როგორც ამას მოითხოვს მისგან ქართველი ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლა–განათლების ინტერესები. ყველამ, ვისაც კი ამ დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული საქმის ხელმძღვანელობა და სწორი გზით წარმართვა ევალება, დროულად უნდა იზრუნოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რასაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს დაწყებით კლასებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ერთელიშვილი ფ. – რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, ტ. I, ჰიპოტაქსის საკითხები, თბ., 1963წ.;
2. კვაჭაძე ლ.– თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977წ.;
3. შანიძე ა. – ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973წ.;
4. ჩიქობავა არნ. – იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979წ.